



საერთაშორისო კომპანია და საგადასახადო შელავათები

KPMG in Georgia

[Please click here for the English version](#)

2020 წლის ოქტომბრიდან, გარკვეულ კომპანიებს, რომლებიც საქმიანობენ საზღვაო და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში შესაძლებლობა ექნებათ, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ისარგებლონ მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებით.

კერძოდ, 2019 წელს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებისა და 2020 წლის ოქტომბერში მიღებული საქართველოს მთავრობის N619 დადგენილების მიხედვით, საქართველოს საწარმო რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ნებადართულ საქმიანობას ახორციელებს და შემოსავალს მხოლოდ ამ საქმიანობიდან იღებს, განაცხადის საფუძველზე შესაძლებელია მიენიჭოს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი და ისარგებლოს შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმით.

გთხოვთ, იხილოთ ქვემოთ მოცემული დეტალები იმის შესახებ, თუ:



რა შეღავათებით სარგებლობს საერთაშორისო კომპანია



როგორმა სუბიექტმა შეიძლება მოიპოვოს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი



რა არის ნებადართული საქმიანობა

საბადასახადო შეღავათები

საქართველოს საწარმო რომელსაც მიენიჭა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, ისარგებლებს შემდეგი შეღავათებით:



საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი მხოლოდ 5 პროცენტით იბეგრება.



საერთაშორისო კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.



საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთია 5 პროცენტი (თუმცა ქვემოთ მოცემული პუნქტიდან გამომდინარე ეფექტური განაკვეთი შეიძლება საგრძნობლად შემცირდეს, ან სულაც არ იყოს).



საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს მოქალაქე რეზიდენტი დაქირავებული პირისათვის გადახდილი ხელფასის ხარჯის ან/და საერთაშორისო კომპანიისათვის ნებადართული საქმიანობ(ებ)ის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯის საქართველოში გაწევის შემთხვევაში საერთაშორისო კომპანიას უფლება აქვს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით შეამციროს მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა, ამ ხარჯის **ოდენობით**.



საერთაშორისო კომპანია გათავისუფლებულია ქონების (გარდა მიწისა) გადასახადისაგან, თუ ეს ქონება გამოიყენება ან გამიზნულია ნებადართული საქმიანობის განხორციელებისათვის.

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მოპოვების ძირითადი პირობები

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, მოცემულ ნებადართულ საქმიანობასთან მიმართებით, შესაძლებელია, მიენიჭოს საქართველოს საწარმოს:



ა) რომელსაც აქვს ნებადართული საქმიანობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება; ან



ბ) რომელიც არის არარეზიდენტი საწარმოს წარმომადგენელი საქართველოში, თუ ამ არარეზიდენტ საწარმოს აქვს იმ ნებადართული საქმიანობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, რომელსაც საქართველოს საწარმო ახორციელებს; ან



გ) რომლის 50%-ზე მეტი წილის მქონე პარტნიორ საწარმოებს დამოუკიდებლად (თითოეულ პარტნიორს ცალ-ცალკე) აქვთ იმ ნებადართული საქმიანობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, რომელსაც საქართველოს საწარმო ახორციელებს.



სტატუსის ფარგლებში ნებადართული საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს საქართველოში. შესაბამისად, ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს საერთაშორისო კომპანიის მიერ ძირითადი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული საქმიანობის საქართველოში განხორციელება შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსების გამოყენებითა და საოპერაციო ხარჯების გაწევით.

ნებადართული საქმიანობის სახეები



ა) „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ 58.2 კოდით გათვალისწინებული შემდეგი საქმიანობები:

- ა.ა) 58.2 – პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა;
- ა.ბ) 58.21 – კომპიუტერული თამაშების გამოცემა;
- ა.გ) 58.29 – სხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა;

ბ) „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ 62 კოდით გათვალისწინებული შემდეგი საქმიანობები:

- ბ.ა) 62.0 – კომპიუტერული დაპროგრამება, კონსულტირება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები;
- ბ.ბ) 62.01 – კომპიუტერული დაპროგრამების საქმიანობები;
- ბ.გ) 62.02 – საკონსულტაციო საქმიანობები კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში;
- ბ.დ) 62.03 – კომპიუტერული საშუალებების მართვის საქმიანობები;
- ბ.ე) 62.09 – საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები;

გ) ციფრული პროდუქტის დამზადება ან/და მიწოდება, პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისა და მისი განახლებული ვერსიის მიწოდების ჩათვლით;

დ) ვებგვერდის დამზადება ან/და მიწოდება;

ე) ვებჰოსთინგი, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპარატურის დისტანციური ტექნიკური მომსახურება;

ვ) პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი განახლება;

ზ) გამოსახულებების, ტექსტებისა და ინფორმაციის მიწოდება, მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

თ) სისტემის დისტანციური ადმინისტრირება;

ი) მუხსიერების გამოყოფილი მოცულობის ონლაინ მიწოდება;

კ) პროგრამულ უზრუნველყოფაზე წვდომა ან ჩამოტვირთვა (შესყიდვების/ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამების ან ანტივირუსული პროგრამების ჩათვლით) და მისი განახლებები;

ნებადართული საქმიანობის სახეები

- ლ) ბანერული რეკლამების ბლოკირების პროგრამები;
- მ) ჩამოსატვირთი დრაივერები, როგორცაა პროგრამული უზრუნველყოფები, რომლებიც კომპიუტერებს უკავშირებს პერიფერიულ მოწყობილობებს (როგორცაა, მაგ., პრინტერი);
- ნ) ვებსაიტებზე ფილტრების ავტომატური ონლაინინსტალაცია;
- ო) ბრენდმაუერების (ფაიერვოლების) ავტომატური ონლაინინსტალაცია;
- პ) გემთმფლობელის მიერ ან/და მისთვის გემის ფლობასთან დაკავშირებული კომერციული და ტექნიკური მომსახურებები, მათ შორის:
 - პ.ა) გემის გაქირავება ეკიპაჟით ან უეკიპაჟოდ (ბერბოუტ-ჩარტერი);
 - პ.ბ) რეისის დაგეგმვა ან/და ანალიზი;
 - პ.გ) გემის კაპიტნისათვის დამფრახტველთან შეთანხმებული რეისის ინსტრუქციების მიცემა;
 - პ.დ) სტალიური დროის დათვლა, დისბურსმენტის ანგარიშის ანალიზი და მართვა;
 - პ.ე) ტვირთთან დაკავშირებული მოთხოვნების, კომერციული, სამართლებრივი საკითხებისა და დაფრახტვის შესახებ წერილობითი ხელშეკრულების (ჩარტერის) დავების მართვა;
 - პ.ვ) ახალი გემების მშენებლობის შეკვეთების ორგანიზება ან/და მეორადი გემების ყიდვა-გაყიდვის მომსახურება;
 - პ.ზ) გემის ფიზიკურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა ან/და შესაბამისი ტექნიკური ნაწილებით ან/და საკვები პროდუქტებით გემთმომარაგება;
 - პ.თ) გემთმშენებლობის, გემების დოკირებისა და რემონტის კოორდინირება, ინსპექციების ჩატარება დარგის მარეგულირებლების მოთხოვნების შესაბამისად;
 - პ.ი) გემის გემების უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ (ISM) კოდექსთან, დროშისა და ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის მოთხოვნებსა და საკლასიფიკაციო საზოგადოების წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.



შენიშვნა: ზემოთ მოცემული „ა“-„ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობაში იგულისხმება მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურება.

კონტაქტი

პახა რუხაძე

აღმასრულებელი დირექტორი

+995 322 935713
krukhadze@kpmg.com
www.kpmg.ge

მიხაილ ორლოვი

საგადასახადო და იურიდიული დეპარტამენტის
ხელმძღვანელი რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებში

+74959374444
MOrlov@kpmg.ru
www.kpmg.ru

იოსებ გარსევანიშვილი

საგადასახადო დეპარტამენტის მენეჯერი

+995 322 935713
igarsevanishvili@kpmg.com
www.kpmg.ge

kpmg.ge



წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია არის ზოგადი ხასიათის და არ არის განკუთვნილი კონკრეტული ინდივიდის ან ორგანიზაციის საჭიროებებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვცდილობთ მოგაწოდოთ ზუსტი და დროული ინფორმაცია, წინამდებარე დოკუმენტი არ შეიძლება იქნას აღქმული, როგორც გარანტია, რომ ინფორმაცია ზუსტია დოკუმენტის თქვენ მიერ მიღების თარიღისთვის ან იქნება ზუსტი მომავალში. არავინ არ უნდა დაეყრდნოს აქ მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული შემთხვევის სათანადო ანალიზის შედეგად მიღებული პროფესიული რჩევის გარეშე.

© 2020 შპს KPMG Georgia, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია საქართველოში.



Tax Incentives for International Company

KPMG in Georgia

From October 2020, certain companies operating in maritime and informational technology sector, in case of meeting certain criteria, will have an opportunity to benefit from significant tax incentives.

Specifically, according to the amendments made in tax code of Georgia in 2019 and ordinance N619 of the Government of Georgia adopted in October 2020, a Georgian enterprise, which performs Permitted Activity defined by an ordinance of Government of Georgia and generates income solely from these activities, based on the respective application, could be granted the status of an International Company and benefit from certain tax incentives.

Below please find the details about:



Tax incentives applicable to an International Company



Who is eligible to obtain the status of an International Company



What is considered as Permitted Activity

Tax Incentives

Georgian enterprise which is granted the status of an International Company will benefit from the following tax incentives:



Income received from employment in an International Company is subject to tax at the rate of 5%.



Dividend paid by an International Company is not subject to withholding tax and is not included in the gross income of the recipient.



The corporate income tax (CIT) rate for an International Company is 5% **(however, as per the following point, the effective rate could be significantly reduced or even be zero).**



If an entity having the status of an International Company incurs expenses in Georgia on salary payments made to Georgian citizen resident employees and/or scientific-research, project-design, and experimental-design work in the field of activity(ies) permitted for an International Company, then it is allowed to reduce the CIT base in the amount of such expenses, per the rules established by the Minister of Finance of Georgia.



International Company is exempt from property tax (except for land) if that property is used or intended to be used for the performance of Permitted Activity;

Principle requirements for obtaining the status of an International Company

According to the ordinance of Government of Georgia, the status of an International Company with respect to the given Permitted Activity can be granted to a Georgian enterprise:



a) which has at least 2 years of experience of carrying out Permitted Activity; or



b) Which is a representative of a non-resident enterprise in Georgia, if this non-resident has at least 2 years of experience of carrying out the Permitted Activity that is carried out by the Georgian enterprise; or



c) Whose shareholder (s), having more than 50% of shares in that Georgian enterprise, individually (each entity separately) have at least 2 years of experience of carrying out the Permitted Activity that is carried out by the Georgian enterprise



Permitted activity within the status must be carried out in Georgia. Accordingly, one of the main requirements is that the International Company should undertake its core income generating activities in Georgia, using appropriate human resources and incurring an adequate amount of operating costs.

Types of Permitted Activity



1. The following activities determined under the code 58.2 of “Georgian national classification of economic activities”:
 - 1.1 Software Publishing;
 - 1.2 Publishing of computer games;
 - 1.3 Publishing of other software;
2. The following activities determined under the code 62 of “Georgian national classification of economic activities”:
 - 2.1 Computer programming, consultancy and related activities;
 - 2.2 Computer programming activities;
 - 2.3 Consultancy activities in the field of computer technology;
 - 2.4 Computer facilities management activities;
 - 2.5 Other information technology and computer service activities;
3. Development and/or delivery of digital product, including respective software support and provision of an updated version;
4. Development and/or delivery of website;
5. Web Hosting, remote maintenance of software and hardware;
6. Provision of software and related updates;
7. Provision of images, texts and information to ensure access to the database;
8. Remote administration of the system;
9. Online supply of allocated memory capacity;
10. Access to or download of software (including procurement / accounting software or antivirus software) and its updates;
11. Banner ad blocking programs;

Types of Permitted Activity

12. Downloadable drivers, such as software that connects computers with peripheral devices (such as printers);
13. Automatic online installation of filters on websites;
14. Automatic online installation of firewalls;
15. Commercial and technical services related to ship ownership provided by the shipowner and/or provided to the shipowner, including:
 - 15.1 Ship renting with or without a crew (bareboat charter);
 - 15.2 Route planning and/or analysis;
 - 15.3 Giving instructions to the ship's captain on a route agreed with the freighter;
 - 15.4 Calculation of laytime, Disbursement report analysis and management;
 - 15.5 Managing the disputes related to cargo claims, commercial and legal issues and written agreements on chartering;
 - 15.6 Organizing new shipbuilding orders and / or the service of buying and selling used ships;
 - 15.7 Supervising the physical condition of the ship and/or supplying the ship with relevant technical parts and / or food products;
 - 15.8 Coordinating shipbuilding, ship docking and repairs, conducting inspections in accordance with the requirements of industry regulators.
 - 15.9 Ensure compliance of the ship with ISM Code on the Safe Operation of Ships and Pollution Prevention, flag and port state control requirements and rules of classification society.



Note: The activities provided for in subparagraphs 1-14 above shall mean services rendered on the basis of a service contract.

Contact

Kakha Rukhadze

**Managing Partner
Georgia**

+995 322 935713
krukhadze@kpmg.com
www.kpmg.ge

Mikhail Orlov

**Head of Tax and Legal
Russia and the CIS**

+74959374444
MOrlov@kpmg.ru
www.kpmg.ru

Ioseb Garsevanishvili

**Manager, Tax and Legal
Georgia**

+995 322 935713
igarsevanishvili@kpmg.com
www.kpmg.ge

kpmg.ge



The information contained herein is of a general nature and is not intended to address the circumstances of any particular individual or entity. Although we endeavor to provide accurate and timely information, there can be no guarantee that such information is accurate as of the date it is received or that it will continue to be accurate in the future. No one should act on such information without appropriate professional advice after a thorough examination of the particular situation.

© 2020 KPMG Georgia LLC, a company incorporated under the Laws of Georgia and a member firm of the KPMG global organization of independent member firms affiliated with KPMG International Limited, a private English company limited by guarantee. All rights reserved. Printed in Georgia.